

შენ გაბარებ  
სამშობლოს  
გული —  
საზღვრების კარღია,  
შეუღრმეველ,  
ქლივრო,  
ქლავამოსილო  
არმიავ!



1918 ★ 1978

სიანჭი

4

# საქართველოს

ამ შუქმოსილ თებერვალში  
უკვდავებას მიღწეული, —  
საქართველოვ, — მხნევ და გამრჯევი,  
ამაყო და ღირსეული!  
შენმა ხალხმა გამარჯვების  
დროშა არხად არ დახარა, —  
მტრების გულის მოსაკლავად,  
მოყვრის გულის გასახარად!  
იზრდები და იბადრები,  
დილა შენი ცისკარია!  
შენს კალთაში სიცოცხლე და  
სიკვდილიც კი გვიხარია!  
ყველა შენს მტერს — შინ და გარეთ —  
გააცალე არაქათი,  
სარეველასავით მოსპე  
ყველა ჯურის არაქაცი,  
ბოროტი და არამზადა,  
მძარცველი და მუქთახორა,  
ვინც მშრომელი ხალხის ხარჯზე  
გაძდა, მერე ვაიფხორა!..  
შრომით, მშობით, მეგობრობით  
ხარ ქებული, ხარ დიადი,  
სიხარულად მოვიბრძანდა  
ამ თებერვლის განთიადიც!  
რკინასავით უდრეკო და  
ფოლადივით უტკიცესო, —  
შენ, — ბაჯალლო ცაჟ და მიწავ, —  
უწმინდესო, უტკბილესო, —  
დღეს ბუდე ხარ სიფვარულის,  
მეგობრობის გზა და ხიდი,  
შუბლნათელმა ოქტომბერმა  
გიშვილა და გზარდა რიდით,  
დავიხვავა მოხვალის,  
რახაც თესდი, რახაც მკიდი,  
სამოცი წლის ოქტომბერმა  
გაგითენა დილა მშვიდი!  
გადალაზე ყველა ზღვარი,  
ყველა ძნელი ბარიერი,  
გვაგვს ასობით ნესტანი და  
გვაგვს ასობით ტარიელი..  
ცეცხლთან, ღვანან შემართული  
ამირანი — ათასობით, —  
გმირობით რომ გახახელეს  
ჯანის, ოფლის არდაზოვეით!..  
რაინდების ძველო ფუძე,  
ფეხმაგარო, მუხლმაგარო,  
ყველა მწვერვალს მიღწეული,  
სულნათელი, სულმაღლი!  
ხვავს, ბარაქას იმკის შენი  
ყანა, ბაღი, თუ მადარო,  
წინსვლითა და გამარჯვებით  
მუდამ ლაღობ, მუდამ ხარობ!  
სამოცი წლის უძლეველი  
გიცავს არშია და ფლოტი,  
ბრძოლის ველზე წინ იდექი,  
დღეს დალაშქრე შრომის ფრონტი!  
იცოცხლე და ვაიხარე, —  
დღუნათელი, ცაძაღალი, —  
ვერაფერმა ვერ ჩაგმუხლოს,  
არაფერმა არ დაგდალოს!  
გამარჯვებით ფრთაშესხმული, —  
უკვდავებას მიღწეული, —  
საქართველოვ, — მხნევ და გამრჯევი,  
ამაყო და ღირსეული!

ვანო ციციანი

# „კავშირისაოსნის“ ერთი აღვილი

ეროვნული

## ნაკითხვისათვის სიზლირთქვა

ტია-ტიას კონიექტურა

„კვლად დავიდევით ნადიმო“, ამბობს ფატმანი და განაგრძობს: „სმასა ზედა უმიზეზოდ გავხე რამე უფემურადო“. უმიზეზოდ, ბრძანებს ქალბატონი, მაგრამ უმიზეზოდ, მოვეხსენებათ, არაფერი არ ხდება. მოიგონეთ ფატმანის პორტრეტი: „პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,

მუტრიბთა და მომღერალთა  
მოყვარული, ღვინის-მსმელი“.

ფატმანის „პირ-მსუქანობა“, რა თქმა უნდა, გადაჭარბებული ჭამა-სმის ბრალია, სწორედ ამის გამო აქვს მას დარღვეული ქოლესტერინის ბალანსი, ნორმაზე მეტი აქვს პროტრომბინი და კლიმაქსის ასაკიც, რა თქმა უნდა, თავისას შვრება. ასე რომ, უმიზეზოდ, რომ ამბობს, რბილად რომ ვთქვათ, ვვარცხულებს.

მაგრამ მართო ფატმანი ხომ არ ცხოვრობს ასე?

„დიდსა შეიქმენ მეფენი პურობა-დარბაზობასაო!“

საზოგადოებაში, სადაც ფატმანი ტრიალებს, „დარბაზის ერთა სიმორჯვა-ლე“ ჩვეულებრივი ამბავია. სვამს ყველა, მეფიდან დაწყებული მონით გათავებული. კითხულობ და გიკვირს, ყველა-ყველა, მაგრამ ეს არაბები და ინდოელები რამ გააგიჟა ამ სასმელზე? როცა უსენი მეფეს ეწვია, ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ პოზაში დაუხვდა: „ნადიმად მჯდომელი“. ხელმწიფემ „სხვა მრავალი დოსტაქანი“, „კვლა აივსნეს სხვა ფარჩნი და სხვა ჭიქანი“ და ცხადია, გამომტერდნენ. ასეც წერს რუსთაველი: „უთხრა დიდმან ხელმწიფემან უტკოსა უსენს მთრვალსაო!“ ჰოდა ერთი მიბრძანეთ, რა კარგი უნდა დამართოდა ამ ხალხს, ცხოვრებას დაუსრულებელ ნადიმში რომ ატარებდნენ?! ისინი სუქდებოდნენ (ფატმანი „პირ-მსუქანია“, მტერდებოდნენ (უსენი „უტკუოა!“) და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს მაძლევს დავასკვნა, რომ იქ, სადაც სიკვდილის გარდუვალობაზე ლაპარაკობს, რუსთაველი მის გამომწვევ უმთავრეს მიზეზად სმას მიიჩნევს! ამიტომ შესაბამისი სტრუქტურების ჩემეული წაკითხვა ასეთია: არა „მის გან გასწორდეს ყოველი“, არამედ „სმისგან გასწორდეს ყოველი“.

საბოლოოდ, ცნობილი აფორიზმი მიიღებს შემდეგ სახეს:


„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;  
სმისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი“;

ტია-ტია

ნახ. მ. აბაშიძისა



— ახლა ჩაბიკვთავ კარმს და ნახე, შენმა გაკეთებულმა ონკან-მა რა ბიყოს!



ნახ. ბ. ლომიძისა



— სად მიგაქვს, მიხა, ეს ჭურჭელი?  
— აფთიაქში!

წინაშე თბილისში ერთი სახელგანთქმული უბანი იყო, იარმუკას ეძახდნენ. იქვე იყო კიდევ ერთი იარმუკა — „სალდატსკი“ ბაზარი, ხოლო ამ ბაზარში ერთი პატარა დუქანი — საქულას დუქანი. საქულას მუდამ ბლომად ჰყავდა მუშტრები. ზოგს ნისიად აძლევდა საქონელს, ზოგსაც ნაკლებ ფასში ატანდა; თუკი ვაჭრობა სარფიანად მიდიოდა და საქულას კარგი მოგება დარჩებოდა, ნახევარ ფასშიც არ დაიშურებდა საქონელს.

— წაიღეთ, მადამჯან, ნახევარ ფასში გაძლევთ!

— მე ჯერ მადამი არ გახლავართ, მე მადმუაზელი ვარ! — მიუგებდა ცხვირაბწვეკილი, ქოლგისანი ქალიშვილი.

— ვაპ! მაშ, მუქთად წაიღეთ, მადმუაზელი! სამი კილო ბალი რა ბედენაა! — ეტყოდა საქულა და სათუთად ჩაუყრიდა კალათში თითის სიმსხო კახაბალს.

ახლა „სალდატსკი“ ბაზრის ხსენებაც არ არის. იმ ადგილას მშვენიერი სკვერია გაშენებული, — მოშრიალე ჭადრებითა და მარადმწვანე გაზონებით. ბაზარი კი ცოტა მოშორებით გაშენდა — დახურული საკოლმეურნეო ბაზარი.

საკარმიდამო დოვლათით მოვაჭრე კოლმეურნეთა დახ-

ლების გასწვრივ სახელმწიფო მალაზიებია ჩამწკრივებული.

ერთი ასეთი „თბილხილბოსტანვაჭრობის“ მალაზიაც გახლავთ, სადაც უხვადაა გამოფენილი ახალი ბოსტნეული და მწვანელი. სახელმწიფო მალაზიაში, რასაკვირველია, სახელმწიფო ფასები აწერია სანოვაგეს, თქვენ სრულიად დამშვიდებული შედისართ სახელმწიფო მალაზიაში და გამყიდველს სთხოვთ, აგიწონოთ ერთი კილოგრამი ლიმონი, რომელსაც სახელმწიფო ფასი 2 მან. 50 კაპ. აწერია.

— თუ შეიძლება, კარგები ამირჩიეთ! — სთხოვთ გამყიდველს.

— კარგებს კარგი ფასი უნდა, კილოში სამი მანეთი უნდა გადაიხადოთ! — უტიფრად მოგმართავთ გამყიდველი და ხელში საკმაოდ მოზრდილ ლიმონს შეათამაშებს.

— ვა, საქულას დუქანია? — გაიკვირვებთ თქვენ.

— არა, ჯივარო, რასულას დუქანია! — ამაყად მოგმართავთ თბილისის კირიჯის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის „თბილხილბოსტან ვაჭრობის“ 59-ე მალაზიის გამყიდველი რასულ რუსთამიოვი.

— ???

იარმუკელი

# „სტუმრად“ ტყიბულში

**ტყიბულში.** ბაზრის გვერდით მდებარე ავტომალაზიაში რომ შევედით, პირველად ვერ გავარჩიეთ, რომელი იყო მალაზია და რომელი — საწყობი. აქ საექვოდ გადამალული „ყიფულის“ შტანგები, ღიფერი, ფასდაუდებელი საჭის საკეტები და ათასი წვრილმანი ჩუმ-ჩუმად, საიდუმლო პროკლამაციასავით გადადიოდა საწყობიდან „საიმიდო“ კლიენტის ხელში. მალაზიის გამგე დ. სანებლიძე, გამყიდველი გ. ბოჭორიშვილი და ღირექტორი ი. რაფაელოვი ჩვენს შეკითხვებზე, თუ რატომ არ ნახულობენ ეს დეფიციტური ნაწილები მზის სინათლეს, რატომღაც დუმდნენ, მერე აქტზე არცთუ ისე უხალისოდ მოგვიწერეს ხელი.

მანქანის საღებავისათვის იქვე ახლო მდებარე სამეურნეო მალაზიაშიც შევიარეთ. მალაზიის გამგე, ჰუსეინ ვარშანიძე თავისი საქმით იყო გართული — საწყობს შვილების დახმარებით „აწესრიგებდა“ და ჩვენც რა გზა გვქონდა, ლოდინში ნელ-ნელა ვათვალისწინებთ იქაურობა...

რეზინის მილები, საოჯახო ტაფა, ჯაჭვი, ფუნჯი და კიდევ ბევრი ასეთი „წვრილმანი“ ფასდაუდებელი „დარჩენილი“ გამგეს. როცა ერთ-ერთ მათგანს ხელი დავავლე, მაშინ კი შეგვიბღვირეს: — მაგი ჯაჭვი ხუთტონიან სპილოს დააბამს, რომ მიგაქვთ, უპატრონო ხომ არ გგონიათ!

— უფასო გვიკონა! — შევცინეთ ჰუსეინს, მაგრამ თვითონ ჰუსეინს სულ არ ეცინებოდა, რადგან ავტომანქანის გადამალულ საღებავებს. პარკეტის მოსაპრიალელებელ სითხეებსა და საუზმის თევზებს მოვკარით თვალი...

ტყიბულის საყოფაცხოვრებო კომბინატის №1 საპარკმახეროს ბრიგადირ გ. გვენეტაძეს რომ ჰკითხოვს კაცმა, ყველაზე მეტად პირგაუპარსავი „კლიენტის“ სტუმრობა მოსწონს, თორემ კაცი რომ ორ კაპიკს ვერ გაიმეტებს და სახლში თავისი

ხელით „ბრიტეთი“ ჩამოიხოკავს პირსახეს, იმასთან რა საერთო აქვს!

გვენეტაძემ კლიენტ ორმოცაძეს, ყოველგვარი ქვიტორის გამოწერის გარეშე, ღიმილით გამოართვა მანეთიანი და ჯიბეში ჩააცურა.

კი მაგრამ, მოლარე რისთვისა გყავთ და რატომ იღებთ ჯამაგირს? — ვკითხეთ გ. გვენეტაძესა და მის კოლეგებს.

პასუხი ვერ მივიღეთ, ან კი ჩვენთვის ვის ეცალა, „გააპარსი“ ხალხი იღვა რიგში!..

უსაქმოდ მჯდომი მოლარე შეგვეცოდა და, მისი გართობის მიზნით, გამოველაპარაკეთ:

— სალონს დამლაგებელი თუ ჰყავს, ან თუ გვის ვინმე? — ვკითხეთ სხვათა შორის.

მოლარეს რა უნდა ეთქვა. სამაგიეროდ მთელი წლის პორეცხავი იატაკი ალაპარაკდა — ჩემს მომვლელ-დამსუფთავებლად ისეთი ახალგაზრდა გოგო „გააფორმეს“, ცოცხის ხელში დაჭერა რტყვევია, დაანებეთ მაგ ხალხს თავი და თავი თუ გაქვთ, ცოცხი და ტილო მაინც გამოგვიგზავნეთ!

აქვთ კი ამ „მოხეტიალე კორესპონდენტებს“ უფლება, ასე, მივლინებისა და წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეიარონ მალაზიებში და მერე ხმამაღლა ილაპარაკონ ზოგიერთის სინდის-ნამუსზე? — იკითხავს, ალბათ, ზოგი ტყიბულელი.

აქვთ, ბატონებო, უთუოდ აქვთ, რადგანაც ჩვენ ხმელეთზე მოსიარულე ის თევზები ვართ, რომელთაც პირი წყლით არასდროს არ ამოევსებათ!

თეიმურაზ ლანჩავა  
რევაზ ოსმუნიშვილი


„ნიანგის“ კორესპონდენტები

ნახ. 5. ქობისბანი



სურათი — 78

ნახ. 8. მთავარბანის



სურათი

**ნორკი**  
**ნიკვი**  
**ვასუხიანად**

ამბო შენი იცნობ ნაივო, ჩვენი მადლიან თანებს და ჩვენი სიარის, ვეყრა რომ პასუხს არ დავეყენებ...  
სოფელ ხვსოფელ წყარო ეჭვს, მაგრამ რად ვინა ტრეები? ისე შორისა, წულის ხიფდის ის საათის მანვ ედვინები!

მთა ისე კარვად იცნობენ ახ წელს მარცხდის წიქსა, სოფლის ფინანსი დაღდებს, იმის ადგილად იქ ახა.  
უძახებს ახალბარდებსა — მარცხს, მცდებს ვიგება. უძრებო ახარებასი ვუძრების და წიქსა!

შეგონებს წარსულზედ მაგოლა შხრისწორად იცის ახალა მდინარის მდინარესა: „არაღ ძედს დრონი დამბადა?!“ სადგის სხვარე ახ ვეცნობს, არა რამ გვეყვება პარბადა, ქალქო მასწად ვინაგვებო, — შეჯდომებდით ხარბადა.  
კვი არინ გვეყვება ხვსურების წიქსების წყალბობადა, ხმარობდასი უძრების ვიგებდობებდის არსებობა.  
რისკი კი იქნის უძრების ვიგებდობების ადვია. ექორ ახ გვეყვება და ხმარს მივეყვება სიდიცადა...  
ტვრა უჭირავთ მავტავებს, ვინაგვლობთ თავადა, რას ვეჯდობთ, მაგრამ წულის ვინაგვლობთ თავადა. ვვინაგვების უხვობითა, ვივცენით საყლოდობი, ცოცხლად მარხავდეს მუხუარების ძირს დაქმნულად უვავებ...  
... სრუ ვრცე ვიპებთ ტარჩავა, რაც მინახებს წინათა, უცხოების შუგნის შუიცი კი ჩვენი ისრუა არ გრწყინებდა!

**ენიეთ და ახლა**

**შეგრძელი ხიხარის ნათქვამი**

შეხვედრები იმით მამაცად, კლდეზე უნარცხებს თავები, ვახალხლებს დიდობენ — დღეს ჰურტობის ხეაებო...  
დავდიან და დიდბარენ, ცრემლებს დამარწმუნებენ... ცხოვრება უფა უცხოთა, რა გქნენ ჩაი რე მხარდა?!  
ხვსურების უხრობის ხვსოცევილი წადირობა, ნაქარვად დასხვდისსა ჰაერისხვადი მტობია,  
დაწარობდასი ბტრულადა, რაქვლე რა ტურერ მტებში, სხსლწყურებით ელავებს თავებდს დანაცეცხენ!  
რისდ ვიწრებით ნეტარ?! სმტარი ჩა ვეცნობს მომეო?! ჩვენს მარე საქცილისად მთაი სდგან ნაწილად მოქეო...  
გვინახავს უხვობით, ვინა ჩვენს მტებტობდის, თუ ვინ რამ ხქინდის ცოდნი, აწქეწვად უვლეფტობდის.  
... თანების ჩაიონი, სოფელი სიონისორი

**შუახაზები**  
● **იმდენი** კორი იცოდა, რომელი გვეფრტებოდა, არ იცოდა.  
● **წარსული** წასული იგონა.  
● **შუახლი** არ ჰქონდა და შუახლის პარლეს რალა გაუწყებინა?!  
**იამო გულად**  
**ახლაზები ხარისხა**  
● **ხარისხი** მთვინი ხარისხი უნდა იყოს.  
● **სწორმზომ** ისეთი კარგი ხარისხის ფუნქციონალი გამომშენს, დარჩებასი სხვა საწარმის ნიშნით ვინა.  
● **პროდუქტია** დახარისხების შემდეგ ხარისხის დაყარვა.  
● **მალქსიმ** მიღებული დახალი ხარისხის საქმიონს მყიდველებს მართალი ხარისხის ქაღალდში უძებნებენ.  
● **შეიქვანა** ხარისხით, თავს უანდებინებ დაღდებით.  
**გიორგი ხარისხი**



ნახ. 8. სოციალიზმი

**პევენი**

ერთმა მხარეებელმა ევერტის გულში იბოვა ბუწი და შეიყვანა: „შემოქმედი ყოფილა ბეცი! თმა ჩარჩენია ევერტის გულში.“ შევი და მქისი: „მაშ არ ყოფილა სრულყოფილი ქვნილება მისი!“ ბრუნს გაიტანა: „შე საბოლოო, შენა ხარ ბეცი: გულს რომ ქეცევი, წამწამიდან დიავარდა ბეწვი!“

პაპაი გელმანი



ნახ. 3. ებროლაისის

სურათი

**ქარაგმები**

**ჯიხნი** — ბრმა მოღისაგან გალღებულ სვეცენსაცემლო.  
**უზრდელი** — საქმაოდ გაზრდილი, არასაკმაოდ აღზრდილი.  
**მმართველი** შეეგვიძნა გამომძიებელს: ოღონდაც ნუ დამადანამულებ და პატივისცემა ჩემზე იცოსო!  
**შრომა** უზარებოდა, შრომის თაქილობადა, შრომაზე წერდა და... ნაშრომი არ გამოსდიოდა.

რომან ზაპიაშვილი

**შუახაზები**

● **იმდენი** კორი იცოდა, რომელი გვეფრტებოდა, არ იცოდა.  
● **წარსული** წასული იგონა.  
● **შუახლი** არ ჰქონდა და შუახლის პარლეს რალა გაუწყებინა?!  
**იამო გულად**

**ახლაზები ხარისხა**

● **ხარისხი** მთვინი ხარისხი უნდა იყოს.  
● **სწორმზომ** ისეთი კარგი ხარისხის ფუნქციონალი გამომშენს, დარჩებასი სხვა საწარმის ნიშნით ვინა.  
● **პროდუქტია** დახარისხების შემდეგ ხარისხის დაყარვა.  
● **მალქსიმ** მიღებული დახალი ხარისხის საქმიონს მყიდველებს მართალი ხარისხის ქაღალდში უძებნებენ.  
● **შეიქვანა** ხარისხით, თავს უანდებინებ დაღდებით.



ნახ. 3. ზონისპირა

„მამითავე ვარხედ და გაქვესი გარეგნობი!“



ნახ. 8. ბაზილიის

— ჩემი უფროსი! რომ იცოდეს, ვინაა პარ, ბელს არ გათხოვოვდას!



უსიტყვოდ

### ქარაბები

- **ლაგაზი** ცოლის პატრონს ზოგჯერ უღამაზო ცხოვრება აქვს.
- **ლოთს** ლოთის სიყვდილი გაუხარდა — ჩემს წილად მეტი ღვინო დამრჩებაო.
- **გაზაფხულს** ელოდება ბოდა, სიყვარული რომ აეხსნა.
- **დურბალი** ვერ გამოვიდა, რადგან ყურები წინწამოყრილი ჰქონდა და შიგ ფანქრის გამაგოვება შეუძლებელი იყო.

გივი ჯაფელაშვილი

— ყველგან რომ იმასი, მს არ მისწავლია, ის არ გამოვიდო, აბა, რაღას ამბობენ სკოლაში?!



ნახ. ზ. ზორჩიძისა

## ნაიღი ნიანგს დანგანის სკოლა ინგაინაზიდან

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ამ წერილს ცრემლის ფრქვევით და  
კანკალით ვგზავნით ბავშვები!..  
მოკლედ დაგიწერთ, როგორ ვართ,  
როგორ ვსწავლობთ და რას ვშვრებით:

სკოლა-ინტერნატს გათბობა  
რაც გვახსოვს, არა ჰქონია!..  
ვინც თბილად იყო, ამგობენ,  
ამისთვის არც უღონია!..

საკლასო ოთახს, სუფევლას,  
ჩატეხილი აქვს მინები!..  
შენ მაინც უნდა გვიშველო,  
სანამ მთლად გავიყინებით!..

თორემ ასეთი სწავლება  
შევა რა თავში, რა ყურში?!  
მასწავლებლის ხმას ვერ ვისმენთ  
ჩვენი კბილებს რაკუნში!..

ძილშიც კი (თუმცა ვის სძინავს).  
იმედი მაინც არ გვტოვებს:  
ხან გვესიზმრება: მოსულან,  
რადიატორებს ათბობენ!..

ღუმელებს დგამენ, თან „პლიტებს“  
ზედ დამატებით გვირთავენ!..  
ღმერთმა უშველოს, ამ საქმეს  
ვინც ნამდვილ-ცხადში ითავებს!

გათოშილი ბავშვების სახელით —  
ბალათერ არაბული



— მან ვითომ ეს ურომის გავკეთილია?

**დიღმის საოჯახო ნივთების გამქირავებელ პუნქტში** („თბილექსპრესი“) როცა ისე ავბილპილდი, რომ სახეზე ცისარტყელას შვიდივე ფერი გადამევლო, — ფერადი ტელევიზორი მომაქირავეს.

ამ შენობას თუმცა არც ქუჩის სახელწოდება აწერია, არც ნომერი, მაგრამ ვილაც დაკვირვებულმა მოქალაქემ მითხრა, ეს მეგობრობის გამზირია, I კვარტალი, II კორპუსი, რა ვიცი, ხალხნი ვართ, იქნებ კიდევ დაგჭირდესო... (იმ კაცს ენამ უყვილა...).

უსაზღვრო იყო ჩემი ბავშვების სიხარული...

ერთ თვეში ტელევიზორი მოიშალა, — თვალის საღებუნო ფერების მაგიერ (განსაკუთრებით ფიგურული სრიალის დროს) ახალგაჭრილი ჭარხლის ფერი გადაეფინა მთელს ეკრანზე. მაშინვე კეთილმომსახურების სიკეთე გამახსენდა და ტელეფონს ვეცი.

— ალო, ტელევიზორის შეკეთება გვინდოდა...

— თუ მოიტანთ, შეგიკეთებთ!

— კი მაგრამ... პატარა პიკაპები რომ გაქვთ... გამოძახებით არ შეიძლება?

— იმას თავისი დანიშნულება აქვს, ამხანაგო!

მაინც ვერ გავიგე, რა დანიშნულება აქვს პიკაპს?! ალბათ, ვერც ვავიგებ ვერასოდეს. ამიტომ დავდე ალექსევის სარეკორდო შტანგასავით მძიმე ტელევიზორი ტაქსში და გაქირავების პუნქტს მივაშურე.

— ჩვენ, ბატონო, მხოლოდ ვაქირავებთ, შეკეთებისათვის მიაკითხეთ ავტალის შოსეზე № 15-ში! — უარი აბრაგანივით გვკრეს და გამოგვისტუმრეს.

ავტალის შოსეზე მოდერნიზებული



არქიტექტურული სტილით ნაგები, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი, მრავალსართულიანი სახელოსნო ამაყად წამოჭიმულიყო რეკლამით, კარით, ფანჯრით, შესასვლელში გაჭიმული ჯაჭვით...

მეხუთე სართულზე პირდაპირ ტაქსით ავგრივდი.

— თქვენ აკეთებთ ტელევიზორებს?

— კი. გადმოიღეთ და უკან გამოიყვით!

— იმ პატარა, გორგოლაჭებიან მაგიდაზე რომ დავდგათ და ისე გავაგოროთ?

— მძიმეა ტელევიზორი?

— მძიმე ჰქვია!

— ჰოდა, მძიმე რომაა, იმიტომ აქვს იმ მაგიდას ერთი ფეხი მოტეხილი!

მეტი რა ჩარა იყო, წელკავიანივით წელში ოთხად მოკაკულმა გადავიტანე ტელევიზორი.

— სად მოგაქვთ ეს ტელევიზორი?! — ენამკვანხე მილიციელივით გა-

დაგველობა ვილაც წინ და სულ გზაკვალი ავირია.

— ტელევიზორი აქ შესარემონტებლად... მე კი კაპიტალური რემონტისათვის წყალტუბოს მივაკითხე.

— ჯერ ეს ტელევიზორი დღემდე წაიღეთ და მერე, თუ გნებავთ, ანტალაში გაისეირნეთ!

— რატომ, ხალხნო, ადამიანები არა ხართ?! — შევლაღე მე. იმ წამს დანა რომ დაგვეკრათ, უკვე ცვარი სისხლი აღარ გადმომივიდოდა.

— გაქირავებული ტელევიზორების გარემონტება ისევ დიღმის გამქირავებელ პუნქტს დავეალა!

— მერე, თქვე დალოცვილებო, ტელეფონით რომ დაგირეკეთ, მაშინ ვერ მითხარით? — ენა მოვითაფლე მე („სადაც არა სჯობს...“).

— დღეში აქ ათასი კაცი რეკავს! ყველას რომ ერთი და იგივე უთხრა, ვაგაყდები კაცი! — მთლად ზურგზე შემაჯდა და დამიბრძოვა მან.

ასეთი გასაგები არგუმენტის შემდეგ რალა მეტქმოდა! ენა მუცელში ჩავიგდე, ისევ ოთხად მოვიკაკვე (ამჯერად, მგონი, რვად...) და დიღმისაკენ გავწიე.

ორი კვირის შემდეგ გაკეთებულ-გამშვენიერებული ტელევიზორი სახლში ბრწყინავდა, მე კი, წელზე შალ-შემოხვეული, გადაცემის მოლოდინში ტახტზე ვნებივრობდი.

მართალია, სამი თვით დაქირავებულმა ტელევიზორმა ერთი თვე სახელოსნოში გაატარა, მაგრამ ამას ვჩივდი?

ტელევიზორი ჩაერთეთ და... ისევ წითლად აუჭარხლდა სახე...

ალბათ, სირცხვილისაგან!..

**ზ. შორღანაშვილი**


ნახ. 3. კუსტინასი



ნახ. 8. მხედლიშვილისა



უსიტყვოდ



— გალავდრთ ხვალისათვის, დღევანდელი საბუთო დღე ამოიწურა!



საქართველოს  
განათლებლის  
მინისტრის  
კაბინეტი

ბუნებრივად აღზრდილი  
ფილოსოფოსი, პედაგოგი,  
საზოგადოებრივი მოღვაწე,  
მწიგნობარი, მწერალი,  
მწიგნობარი, მწერალი,  
მწიგნობარი, მწერალი,  
მწიგნობარი, მწერალი

მთავარი რედაქტორი ზურაბ გეგაზუშვილი    სარედაქციო კოლეჯია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კახიანი, ზ. ლომია, ბ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (მხატვ. რედ.), ბ. ნიჟარაძე, ბ. სისხრულიძე (პ/მ, მდივანი), ბ. შირვაშვილი, თ. ველიძე

● ტექნიკური რედაქტორი ა. კახალიანი, ● საბირისა და იუზორის უფროსი „ნიანი“ ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კვ-ის გამომცემლობა, ● გადაეცემა ასაწყობად 23/1-78 წ. ხელმოწერილი დასაბუქდალ 17/11-78 წ. ქაღალდის ზომა 70x1081/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შუკე. 263. უფ. 08085    ტირ. 145.000 ● თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანი“. ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თქვენს ავტორებზე: მ. აბაშიძე, კ. დეიანი, ვ. ნიჟარაძე, ნ. იოსელიანი, მ. კუციანი, მ. ლომია, მ. შირვაშვილი, მ. შუკე, დ. შუკე.

